

შპს დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი

ს.კ. 204558362

---

# შპს დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

*(31 დეკემბრის მდგომარეობით)*

---

# ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი“ დაარსდა ქთბილისში, 2008 წლის 22 ივლის კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელია . ვლადიმერ ჭელიძე პ.ნ. 62001005010

ხელმძღვანელობა

წარმომადგენლობა დირექტორი

– ვლადიმერ ჭელიძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

წარმოადგენს შენობების საერთო დასუფთავება

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი , მთაწმინდის რაიონი ჩიტაძის ქ. №6

2 შედგენის საფუძველი

2.1 1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების

ფინანსურ  
ი ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ( მსს ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად .

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

### 3.1 უცხოური ვალუტა

#### უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ევრო 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და 3.2095 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

### 3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

### 3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით - წლის გაანგარიშებით.

### 3.4 კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება, მიღებული შემოსავლით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

### 3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეიქმნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ის ცვლილება შეიქმნა

მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახდის განაკვეთი განისაზღვრა ნულთან განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით,

მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახდის არც აქტივი და არც ვალდებულება.

გადავადებული გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახდის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიირებს იმდენ დასაბეგრ მოგება, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახდის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახდის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან

ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

### 3.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

კომპანიის შემოსავალი მცირდება მოსალოდნელი დაბრუნებებისგან, ფასდაკლებებისგან და სხვა დათმობებისგან.

რეალიზაცია

შემოსავალი შეიძლება აღიარდეს როდისაც ყოველი ჩამოთვლილი პირობა

არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს მომსახურება;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური მოგება ასოცირებული იყოს კომპანიასთან;
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

**შპს დრ როდგერ სერვის მენეჯმენტი**  
**ფორმა N:1 - ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                   |                   |                   |                   |
|--------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
|                                                                                | <b>31/12/2020</b> | <b>31/12/2019</b> | <b>31/12/2018</b> |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>                                   | 83400             | 10582             | 35785             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                     | 2245985           | 2074150           | 1987389           |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი მარაგები                    | 0                 | 29589             | 36532             |
| მზა პროდუქცია                                                                  | 94984             | 105735            | 234532            |
| სხვა                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| საინვესტიციო ქონება                                                            | 94984             | 105735            | 234532            |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| ბიოლოგიური აქტივები                                                            | 0                 | 33343             | 5673              |
| თვითღირებულების მოდელით                                                        | 0                 | 0                 | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| გუდვილი                                                                        | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                   | 0                 | 0                 | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                                           | 25916             | 22966             | 22605             |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                              | 1646018           | 1012733           | 1402065           |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებ                              | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| <b>სულ აქტივები</b>                                                            | <b>4096303</b>    | <b>3289098</b>    | <b>3724581</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                           |                   |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                          | 842443            | 749879            | 1283626           |
| ანარიცხები                                                                     | 0                 | 0                 | 10087             |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                             | 176974            | 120633            | 157190            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                     | 131400            | 97922             | 278337            |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                      | 0                 | 0                 | 0                 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                | 0                 | 0                 | 257357            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                | 0                 | 0                 | 0                 |
| მიღებული გრანტები                                                              | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                       | <b>0</b>          | <b>1921</b>       | <b>29970</b>      |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                       | <b>1150817</b>    | <b>970355</b>     | <b>2016567</b>    |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპა |                   |                   | 0                 |
| საემისიო შემოსავალი                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                   | 0                 | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                      | 2945486           | 2318743           | 1708014           |
| გადაფასების რეზერვი                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                  | <b>2945486</b>    | <b>2318743</b>    | <b>1708014</b>    |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                               | <b>4096303</b>    | <b>3289098</b>    | <b>3724581</b>    |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                          | <b>2424369</b>    | <b>2190467</b>    | <b>2257706</b>    |
|                                                                                | <b>1150817</b>    | <b>968434</b>     | <b>1719153</b>    |

**ფორმა N:2 - საქმიანობის შედეგები**

საქმიანობის შედეგები

31/12/2020 31/12/2019

|                                                       |                |                |
|-------------------------------------------------------|----------------|----------------|
| ნეტო ამონაგები                                        | 10113125       | 9446912        |
| საქონლის გაყიდვიდან                                   | 0              | 0              |
| მომსახურების გაწვიდან                                 | 10113125       | 9446912        |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                          | 0              | 0              |
| სხვა                                                  | 0              | 0              |
| გაყიდვების თვითღირებულება                             | 0              | 0              |
| საწყისი მარაგები                                      | -1187846       | -1257506       |
| მარაგების შესყიდვა                                    | 0              | 0              |
| გადამუშავების დანახარჯები                             | 0              | 0              |
| საბოლოო მარაგები                                      | 0              | 0              |
| <b>საერთო მოგება</b>                                  | <b>8925279</b> | <b>8189406</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                            | 3577           | 43106          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                              | -6792903       | -6936947       |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                             | -206372        | -139198        |
| საპროცენტო შემოსავალი                                 | 0              | 0              |
| საპროცენტო ხარჯი                                      | 0              | -8548          |
| იჯარის ხარჯი                                          | -5130          | -13979         |
| აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი              | -1297708       | -520966        |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                | -8298536       | -7576532       |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                              | <b>626743</b>  | <b>612874</b>  |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                |                |                |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა    | 0              | 0              |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა              | 0              | 0              |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღ | 0              | 0              |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვა    | 0              | -2145          |
| მიღებული დივიდენდები                                  | 0              | 0              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)               | 0              | 0              |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრ  | 626743         | 610729         |
| მოგების გადასახადის ხარჯი                             | 0              | 0              |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                | 626743         | 610729         |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>              |                |                |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტი     | 0              | 0              |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმო   | 0              | 0              |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                | 0              | 0              |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                   | 626743         | 610729         |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი    | 2318743        | 1708014        |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი | 0              | 0              |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)        | 0              | 0              |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                 | 0              | 0              |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                             | 0              | 0              |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს        | 2945486        | 2318743        |



*[Handwritten signature]*